პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 184 (9025)
25 სექტემბერი,
ოთხშაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

კარპოვი — კასპაროვი

მერვე პარტია

გუშინ მოსკოვში შედგა მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მერვე პარტია, რომელიც 41 სვლაზე გადაიდო. კარპოვს ზედმეტი პაიკი აქვს. მეტოქეები ამ პარტიას დღეს დაამთავრებენ.

მიითვალე, რესპუბლიკავ!

სერგეი ტერნოვიხი მსოფლიო ჩემპიონია

სან-სებასტიანი (ესპანეთი). სოხუმელმა სამბისტმა სერგეი ტერნოვიხმა (57 კგ) მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მეორე ოქროს მედლით ბრუნდებიან შინ ვლადივოსტოკელი ალექსანდრე აქსიონოვი (62 კგ), მინსკელი ვიქტორ ბუხვალი (74 კგ) და მოსკოველი ვლადიმერ შკალოვიც (მძიმე). მაგრამ საბჭოთა სამბისტების წარმატება ამით არ ამოწურულა: ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე (ოღონდ პირველად) ბუზულუკელი ალექსანდრე ულიანინი (48 კგ), მაიკოპელი საგიდ მერეტუკოვი (52 კგ), ლენინგრადელი ვლადიმერ პანშინი (68 კგ) და უფელი ანატოლი იაკოვლევი (82 კგ). სხვა ორ წონაში (90 და 100 კგ) თავი მონგოლმა სამბისტებმა გამოიჩინეს.

შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის გუნდების გარდა ბულგარეთის, ინგლისის, პოლანდიის, იტალიის, აშშ-ის, საფრანგეთის, შვეიცარიის, იაპონიისა და ესპანეთის ათლეტებიც გამოდიოდნენ.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ესპანეთის მეორე ქალაქ ერნანეში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც საბჭოთა კავშირის სამბისტები განახლებული შემადგენლობით გამოვიდნენ. წარმატებას ამჯერადაც ჩვენმა სპორტსმენებმა მიაღწიეს, მეორე ადგილი მონღოლ, მესამე კი ბულგარელ სამბისტებს დარჩათ.

წარმატება ტაშკენტშიც გაიმეორა

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ტაშკენტიდან, სადაც დამთავრდა ჭაბუკ ჩოგბურთელთა მეხუთე საერთაშორისო ტურნირი უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ამ ასპარეზობაში ძირითადად ის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, რომლებიც მანამდე თბილისის საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვიდნენ. ისევე, როგორც მშობლიურ ქალაქში, ტაშკენტშიც წარმატებით იასპარეზა 17 წლის თბილისელმა ჩოგბურთელმა **ვლადიმერ გაბრიჩიძემ**. მან ამჯერადაც ორ თანრიგში (ერთეულთა და წყვილთა ტურნირებში) გაიმარჯვა.

ერთეულთა თანრიგის ფინალურ შეხვედრაში გაბრიჩიძემ სიმფეროპოლელ ალექსანდრ ჩერნეცკის სძლია — 6:4, 6:4, ხოლო წყვილთა შეჯიბრებაში უჟგოროდელ იოსიფ კროჩკოსთან ერთად ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელები რადეკ ზაჰრაი და ვაცლავ როუბიჩეკი. აღსანიშნავია ისიც, რომ ტაშკენტის ტურნირი „გრან პრის“ პროგრამით ჩატარდა.



ოთარ მჭედლიშვილის ორი გამარჯვება

ოთარ მჭედლიშვილის ამასწინანდელი წარმატება ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში სპეციალისტებმა ჯეროვნად შეაფასეს. მაშინ, იტალიის ქალაქ ბასანო-დელ-გრაპაში ქართველი სპრინტერი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ მეხუთე ადგილი ლუც ჰესლიჰის, მიჰაელ ჰიუბნერის, რალფ კუშისა (სამივე — გდრ) და მარკ გიორსკის (აშშ) შემდეგ, თავისთავად დიდი წარმატება იყო და მან ქართველ სპორტსმენს აღიარება მოუტანა.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უძლიერესი ველოსიპედისტები, ტრადიციულად, საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობენ. ამ დღეებში ასეთი შეჯიბრებების სერია კოლუმბიის ქალაქებშიც გაიმართა. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა პროგრამის რამდენიმე სახეობაში პირველი ადგილები მოიპოვეს და გუნდური გამარჯვებაც დაისაკუთრეს.

განსაკუთრებით პრესტიჟული იყო ქალაქ კალიში გამართული შეჯიბრება, რომელმაც ოთარ მჭედლიშვილს ორი ლამაზი და დამსახურებული გამარჯვება მოუტანა. მან ჯერ 500 მეტრზე რბოლა მოიგო (გიტი სვლით), მერე კი სპრინტერთა ტურნირში დასჯაბნა ყველა და პირველი ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

სასტარტო მატჩის ტვირთი

თბილისი. სპორტის სასახლე. 24 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 64:84 (32:38).

„დინამო“: დარსაძე (23 ქულა), ბოროდაჩოვი (14), გრძელიძე (13), ტიუბინი (6), დერიუგინი (6), გიორგობიანი (2), ფერიაშვილი.

რტი: იაკუბენკო (25), კნატკო (21), პარფიანოვიჩი (16), პუსტოგვარი (11), სატიროვი (7), ველუდოკი (4), სლანევსკი, ოსტრონოსოვი, დემკო.

მსაჯები მარის ბერნატსი (ლიეპაია), ულდის აიუტსი (რიგა).

დუბლიორები — 81:74 (45:39).

სასტარტო მატჩს მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და სწორედ ამიტომაა, რომ მის მსვლელობას სრულიად განსხვავებული კანონები წარმართავს. ასეთ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო სეზონისწინა მზადების ეფექტიანობა, არამედ მოთამაშეთა ფსიქოლოგიური სიმტკიცეც. ტყუილად როდი არსებობს სპორტში ასეთი ტერმინი: „სასტარტო მღელვარება“.

მიუხედავად ამისა, მაინც ძნელია თბილისის დინამოელთა მარცხი 53-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში მხოლოდ სასტარტო მღელვარებას დააბრალო. რა თქმა უნდა, მასპინძელთა გუნდის ახალგაზრდა წევრებისთვის იოლი საქმე არ იყო სპორტის სასახლის მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, მარამ გუშინ ვერც „დინამოს“ გამოცდილმა კალათბურთელებმა გამოიჩინეს თავი. მინსკელებმა ყველა რგოლში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე. საკმარისია ითქვას, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო თანაბარი ანგარიში და ისიც თამაშის დასაწყისში, მე-3 წუთზე (2:2).

მასპინძლებმა ვერ იქნა და ვერ განახორციელეს სწრაფი პირველი შეტევა, ხოლო მას შემდეგ, რაც მინსკელები თავიანთი დაცვის ზონაში დაიკავებდნენ ადგილებს, მათი დაძლევა კიდევ უფრო ძნელი ხდებოდა. დინამოელებს არც საშუალო მანძილიდან ტყორცნა გამოუვიდათ, ფარიდან ასხლეტილ ბურთებს კი, როგორც წესი, მეტოქე ეუფლებოდა. მე-12 წუთისთვის სტუმრები უკვე 18 ქულის სხვაობით იგებდნენ მატჩს—28:10.

ისინი ექვსმეტრიანი ზონიდანაც არ ერიდებოდნენ თბილისელთა კალათის იერიშს და მეტწილად წარმატებასაც აღწევდნენ. ამ მხრივ შესვენებამდე განსაკუთრებით გამოირჩეოდა იაკუბენკო, რომელმაც ოთხი სამქულიანი ტყორცნა ჩაიწერა აქტივში.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათ მხოლოდ ტაიმის მიწურულს, მე-18 წუთზე შეძლეს ექვსმეტრიანი ზონიდან ბურთის კალათში ჩაგდება (დარსაძე). ეს სწორედ ის მომენტი იყო, როცა დინამოელები გააქტიურდნენ, მთელ მოედანზე შეუტიეს მეტოქეს და 6 ქულამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა. პირველი ტაიმი „დინამომ“ სწორედ 6 ქულით დათმო.

ერთი საინტერესო დეტალიც: დინამოელთა მიერ შესვენებამდე მოპოვებული 32 ქულიდან 18 ტაიმის ბოლო ხუთ წუთზე მოდის.

სხვაობის შემცირება თბილისელებმა სულ ორჯერ თუ სამჯერ მოახერხეს, მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ოთხი ქულითაც მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს. ეფექტიანი პრესინგისთვის კი, რომელიც ასეთ დროს მდგომარეობის გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა, მათ ძალა აღარ ეყოთ.

შეხვედრის ბოლო წუთებზე უკვე აშკარად ჩანდა, რომ მასპინძლები მარცხს შეურიგდნენ, ხოლო სტუმრებმა დამაჯერებლად დაუსვეს წერტილი თავიანთ წარმატებას.

დავით კაკაბაძე.

• • •

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა: **„სპარტაკი“** (ლენინგრადი) — **„უნივერსიტეტი“** (ტაშკენტი) 103:74 (59:37), **ცსკა** — **„დინამო“** (მოსკოვი) — 103:67 (57:31).



ОРБИТА
ПРЕДСТАВЛ
10
13

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და მინსკის რტი-ს გუშინდელი მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდი — მეტოქის ფარს უტევს თბილისელთა კაპიტანი გელა დარსაძე, რომელიც დინამოელთაგან ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კომპეტენტური აზრი. ლევ ძეკონსკი (სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): შენი გუნდის თამაშის ობიექტური შეფასება ძნელი საქმეა. არ შეიძლება ერთი მატჩით გუნდის ავ-კარგიანობაზე ლაპარაკი. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის პირველი კალენდარული შეხვედრა. თბილისელთა შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა, სრულიად გამოუცდელი კალათბურთელი ვიხილეთ, ალექსანდრე ფერიაშვილი კი საერთოდ, პირველად გამოვიდა ძირითად შემადგენლობაში. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა საერთო შედეგზე. დინამოელები სუსტად თამაშობდნენ დაცვაში. დაცვა ყოველთვის იყო ჩვენი გუნდის „აქილევსის ქუსლი“, მაგრამ სხვა დროს თავდამსხმელთა კარგ თამაშს მოჰქონდა გამარჯვება. იმედი მაქვს მინსკელებთან წარუმატებლობა არც თვით კალათბურთელებს დააყრევინებს ფარ-ხმალს და არც მათ ერთგულ გულშემატკივრებს, რომლებიც ასე მხურვალედ უჭერდნენ მხარს თავიანთ გუნდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯანმრთელობა
უწინარეს
ყოვლისა

ქვემოთ დაბეჭდილ ინტერვიუში საუბარია არა მხოლოდ ბერიკაცებზე, არამედ ახალგაზრდებზეც. სწორედ ახალგაზრდებს მიმართავს ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ნოდარ ყიფშიძე.

ბერიკაცებზე, ბიჭებო, სწორდით!

● ბატონო ნოდარ, თუ შეიძლება, გვითხარით რამდენიმე სიტყვა ადამიანის ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის როლზე.

— აქ სიტყვა კი არა, საქმეა საჭირო! ჩემი აზრით, კარგა ხანია ყველა დარწმუნდა, რომ რეგულარული ფიზიკური ვარჯიში აუცილებელია ადამიანისთვის. მთავარია ინერტულობა დაძლიო კაცმა და ერთ დილით ჩვეულებრივზე, ვთქვათ, ნახევარი საათით ადრე ადგე.

საფრანგეთში ერთი საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს: ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებიც იძულებითი უმოძრაობის გამო სხვადასხვა დაავადებით იტანჯებოდნენ, შესთავაზეს ველოსიპედით ევლოთ სამსახურში. წარმოიდგინეთ, ასეთმა მცირე ფიზიკურმა დატვირთვამაც კი პირდაპირ განსაცვიფრებელი შედეგი გამოიღო: ორი წლის შემდეგ გამოკვლევით დადასტურდა, რომ სამინისტროს ყველა თანამშრომელი პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო.

● მაშ ავმხედრდეთ ველოსიპედებზე?

— არა მარტო ველოსიპედებზე. ადამიანის ჯანმრთელობაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ცხენოსნობა, ჰოგბურთი, ცურვა, ფეხბურთი, ფრენბურთი. ახალგაზრდებს — 30 წლამდე — ვურჩევ სირბილში ივარჯიშონ. რბენა შესანიშნავი ფიზიკური ვარჯიშია. მეორე მხრივ, იცით, რა მოხდა ამ რამდენიმე წლის წინ, რბენა პირველად რომ „შემოვიდა მოდაში"? იმ პერიოდში ერთბაშად მკვეთრად იმატა მიოკარდის ინფარქტის შემთხვევებმა. ზოგჯერ ავადმყოფობა სავალალო შედეგითაც მთავრდებოდა. ხნიერმა ადამიანმა ვარჯიშის დაწყებამდე ექიმს უნდა მიმართოს, რჩევა ჰკითხოს, ამას კი ბევრი საჭიროდ არ მიიჩნევდა. ზოგჯერ ხდება, ადამიანს არაფერი არ აწუხებს, არაფერი არ სტკივა და ჰგონია, რომ სავარჯიშოდ ყოველმხრივ მომზადებულია, მაგრამ ვარჯიშის დაწყებამდე და ვარჯიშის შემდეგ გადაღებული ელექტროკარდიოგრამები სულ სხვა სურათს გვიჩვენებს.

მე, ცოტა არ იყოს, მაფიქრებს დღევანდელი საყოველთაო გატაცება აერობიკით. რაღა თქმა უნდა, კარგია, ქალი რომ თავს მხნედ და ახალგაზრდულად გრძნობს, მაგრამ ჯანმრთელობა ჩვენს სურვილებსა და განწყობილებებზე არ არის დამოკიდებული. ყოველ ორგანიზმს შეუძლია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული, მხოლოდ მასზე გაანგარიშებული დატვირთვა აიტანოს. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, ასაკი ან გადატანილი ავადმყოფობათა ტვირთი, არ შეიძლება სათვალავში არ ჩავაგდოთ. ჩემი აზრით, რიტმული ვარჯიშების იმ პროგრამის სრულად შესრულება, ტელევიზიით რომ უჩვენებენ, მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა და კარგად მომზადებულ ქალიშვილებს შეუძლიათ. მე ექიმი ვარ და არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ გავუსვა ხაზი იმას, თუ რაოდენ მძიმე შედეგები მოაქვს ორგანიზმისთვის მეტისმეტ დატვირთვას.

● ხომ არ ნიშნავს თქვენი სიტყვები იმას, რომ აჯობებს სულაც დავანებოთ თავი ვარჯიშს?

— არა, არა. პირიქით! იცით რა არის ამ ბოლო ხანს ისეთ დაავადებათა გავრცელების მიზეზი, როგორიცაა ჰიპერტონია, მიოკარდის ინფარქტი, ათეროსკლეროზი? — ჰიპოდინამია! უმოძრაობა აფერხებს ცხიმების ცვლას, იწვევს ცხიმის ნაწილაკების — ლიპიდების დალექვას, რასაც სისხლძარღვთა შევიწროება მოსდევს. ამ დროს გული ქონშია გახვეული, ზომებში მატულობს, დუნდება და, მაშასადამე, სუსტდება კიდეც. ნაკლები მოძრაობა და არასწორი კვება უამრავ დაავადებას იწვევს, რომელთა განკურნებასაც ხანდახან წლები სჭირდება. სამწუხაროდ, ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ დღეს ახალგაზრდებში ბევრს არა მარტო ზედმეტი წონა აქვს, არამედ აშკარად გამოხატული სიმსუქნით იტანჯება. სიმსუქნედ უნდა ჩაითვალოს, როცა წონა ნორმას 20 პროცენტითა და მეტით აჭარბებს.

საწყენია, რომ იძულებული ვართ ეს ვთქვათ ქართველებზე, რომლებიც მუდამ ცნობილი იყვნენ სისხარტით, მოქნილობით, ამტანობით, ათლეტური აღნაგობით.

● ბატონო ნოდარ, როგორც ვიცი, თავის დროზე თქვენ გატაცებული ბრძანდებოდით კრივით, ძალოსნობით, მერე სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულეთ... ტანვარჯიშში. ახლა როგორ და რით უხდით ხარკს სპორტს?

— სპორტმა მე მომცა ჯანმრთელობა — ჩემს სიცოცხლეში ავად არ ვყოფილვარ; სპორტის შედეგია, რომ თამბაქოს არ ვეწევი. ახლა ჩემი საუკეთესო მეგობარია საშინაო ტრენაჟერი; ყოველ სამუშაო დღეს დილის ვარჯიშით ვიწყებ.

● სამწუხაროდ, ბევრი — მათ შორის წარსულის დიდი სპორტსმენები და ჩემპიონებიც კი — ხშირად ნაადრევად ემშვიდობებიან სპორტს. ისინი აღარ ვარჯიშობენ, აღარც დიეტას იცავენ და სიგარეტსაც ისე დაეხარბებიან ხოლმე, თითქოს უნდათ ერთბაშად აინაზღაურონ ყველაფერი, რაც მანამდე დაიკლეს.

— დიახ, მე არაერთხელ მქონია შემთხვევა ყოფილი სპორტსმენებისთვის მემკურნალა. ყოფილი სპორტსმენი... სხვათა შორის, მე რომ მკითხოთ, ეს ორი სიტყვა სავსებით შეუთავსებელია ერთმანეთთან. ბავშვი რომ სპორტულ სექციაში იწყებს ვარჯიშს, მან უკვე უნდა ესმოდეს, რომ სპორტი დროებითი გატაცება კი არ არის, არამედ მთელი მისი ცხოვრების თანამგზავრია. რაღა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს; მთელი ცხოვრება რეკორდსმენი და ჩემპიონი ვერ იქნები, მაგრამ დილაობით სირბილს რაღა უდგას წინ? არ შეიძლება. სპორტის სამუდამოდ მიტოვება, მით უფრო, ვარჯიშის უცებ შეწყვეტა. ინტენსიურ დატვირთვას შეჩვეული გული ვარჯიშის შეწყვეტის შემდეგ ჩვეულებრივზე სწრაფად დუნდება, ქონში ეხვევა. ამგვარად ვითარდება ათეროსკლეროზი. სპორტმა იცის ღალატისათვის სამაგიეროს გადახდა.

რაც შეეხება სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილებას, ეს მეტად სერიოზული საკითხია. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, სმის მოყვარულთა შორის კორონარული და თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანების შემთხვევები ჩვეულებრივზე 4-5-ჯერ უფრო ხშირია. ალკოჰოლიკის სიცოცხლის ხანგრძლივობა 15 წლით ნაკლებია იმათთან შედარებით, ვინც საერთოდ არ სვამს სპირტიან სასმელს.

● ინსტიტუტში, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს მუშაობა სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემათა შესასწავლად. საინტერესოა, როგორ უყურებენ ფიზკულტურას დღეგრძელები, იცავენ თუ არა რაიმე განსაკუთრებულ დიეტას?

— საქართველოში 20 ათასამდე დღეგრძელი ადამიანი ცხოვრობს. როგორც გამოვარკვიეთ, 90 წელს გადასულები განსაკუთრებულ დიეტას არ იცავენ, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ზომიერად იკვებებიან. ისინი დღეში სამ-ოთხჯერ ჭამენ, მკაცრად იცავენ დროს, რეგულარობას. მათი გემოვნება, შეიძლება ითქვას, კონსერვატულია. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: საკვების რაოდენობა შეზღუდულია. პროდუქტების დღიური ნორმა 800-დან 1 200 გრამს შეადგენს.. მენიუში ჭარბობს მარცვლეულის პროდუქტები, უმთავრესად ხორბლისა და ნაკლები რაოდენობით — სიმინდისა.

რაციონის 25 პროცენტს შეადგენს რძის პროდუქტები: მაწონი, ყველი, ხაჭო, ნადუღი. დღეგრძელთა მენიუში დიდი ადგილი უჭირავს ბოსტნეულს. მაგრამ შაქარსა და ცხიმს ძალიან ცოტას იღებენ — შაქარს დღე-ღამეში საშუალოდ 14 გრამს, ცხიმს — 50 გრამზე ნაკლებს. მათი დღის რეჟიმი გამოირჩევა სტაბილურობითა და რაციონალურობით; შრომის, კვების, დასვენების, ძილის დრო ზუსტად აქვთ განსაზღვრული; დღეში ორ საათს მაინც სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ შრომობენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ დღეგრძელნი ჯანმრთელობას თითქმის არასოდეს არ უჩივიან. მხოლოდ ერთხელ გამაოცა ერთმა 117 წლის ბერიკაცმა: ცუდად ვარო, მითხრა; ყოველ დილით 10 კილომეტრი მაინც უნდა გავიარო ფეხით, ახლა კი წვიმს და ხელი შემეშალაო. რა შეიძლება ამ სიტყვებს დაუმატო?

● არაფერი, ბატონო ნოდარ. დარწმუნებული ვარ ხვალ დილით რამდენიმე კაცი მაინც ადგება ჩვეულებრივზე ნახევარი საათით ადრე.

საუბარი ჩაიწერა
კაკი ბოჟორიშვილმა.

რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ველოსპორტში

„სპარტაკში" მუშაობა გამოცოცხლდა

ამ შეჯიბრებაში გადამწყვეტი სიტყვა „სპარტაკის" სპორტსკოლის ველოსიპედისტებმა თქვეს (უფროსი მწვრთნელი ვიქტორ მალცევი) და გამარჯვებაც რესპუბლიკის პირად-გუნდურ პირველობაში მათ დარჩათ. „სპარტაკმა" მეორე ადგილზე გასულ „კოლმეურნეს" გუნდს მთელი 152 ქულით აჯობა. მესამე „დინამოს" კოლექტივი იყო.

პროგრამის პირველ სახეობაში — გოგონათა კრიტერიუმში კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქობულეთის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა სტელა პრიახინამ („კოლმეურნე"). მან ხუთივე ფინიში მოიგო და პირველობაც, ცხადია, არავის დაუთმო. კრიტერიუმში მეორე და მესამე ადგილები ოლგა მრიანმა („განთიადი", რუსთავი) და ელენა ალეევამ („სპარტაკი") დაიკავეს.

დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა ვაჟთა შეჯიბრება 10-წრიან კრიტერიუმში. აქ პირველი „სპარტაკის" სპორტსკოლის აღსაზრდელი ვასილ დავიდენკო იყო. მომდევნო ადგილებზე კი ანდრეი ჩისტიაკოვი (ისიც „სპარტაკის" სპორტსკოლა) და მიხეილ ბადინგერი („კოლმეურნე") გავიდნენ. უნდა ითქვას, რომ კრიტერიუმის ოცდაათხმა მონაწილემ დისტანცია ვერ დაამთავრა.

ვასილ დავიდენკომ ინდივიდუალურ რბოლაშიც გამოიჩინა თავი — 70-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშის ხაზი ორმა ველოსიპედისტმა ერთდროულად გადაკვეთა — 1:39,00, მაგრამ მსაჯებმა პირველი ადგილი დავიდენკოს მიაკუთვნეს, მეორე — ანდრეი ჩისტიაკოვს. დინამოელი მამუკა ყურაშვილი მესამე იყო — 1:39,20. ასეთი შედეგი კიდევ შვიდ ველოსიპედისტს ჰქონდა.

გუნდურ რბოლებშიც უპირატესობა „სპარტაკის" სპორტსკოლის ველოსიპედისტებს დარჩათ. გოგონათა შორის 10-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად ანა პავლუკმა, მანანა ბაცილაშვილმა და ელენა ალეევამ გაიარეს — 16.52,0, ჭაბუკებში კი (50 კილომეტრი) ვასილ დავიდენკომ, ანდრეი ჩისტიაკოვმა, ბაჩუკი ხორგუანმა და ვიტალი მუშკუდიანმა — 1:11,35.

როგორც ხედავთ, ვასილ დავიდენკომ ამ შეჯიბრებაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა: იგი პირველი იყო როგორც კრიტერიუმში, ისე ინდივიდუალურ და გუნდურ რბოლებში.

ანზორ ჭიჭინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

დებიუტანტი

გიორგი კუპრეიშვილი

ჩოგბურთი

დაიბადა 1971 წელს თბილისში.
სიმაღლე — 180 სმ, წონა — 58 კგ.
ვარჯიში დაიწყო 1977 წელს.
მწვრთნელი — გრანტ მუსაელიანი.
165-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.
1985 წლის საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი.

ბატუტის ოსტატები

სოხუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.) აქ დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. შეჯიბრებაში ყველა საპრიზო ადგილი თბილისის I და II გუნდის წევრებმა დაისაკუთრეს.

გოგონათა ინდივიდუალურ ხტომაში ჩემპიონი გახდა ირმა პანდელაშვილი, ხოლო ვაჟებში უძლიერესი იყო იგორ ჩერნიაკი.

ვაჟთა შორის სინქრონულ ხტომაში ყველას აჯობა მიხეილ პელიკანოვ-მიხეილ ნიკოლაიშვილის წყვილმა, გოგონათა შეჯიბრებაში — ლიანა ბენდიაშვილ-ანა დოღონაძის წყვილმა.

გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: თბილისი I, თბილისი II, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი.

მზია აკობია.
(„ლელოს" საკ. კორ.).

მოკლედ

ტურნირით კმაყოფილნი დარჩნენ

ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა კალათბურთელთა ტურნირი სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ბაქოს, კამოს, თელავისა და ცხინვალის წარმომადგენლები — 1969-70 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა გუნდები. გოგონებში უძლიერესნი იყვნენ ბაქოელები, II ადგილზე გამოვიდა ცხინვალის გუნდი, მესამეზე — თელავის წარმომადგენლები. ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას მასპინძლებმა აჯობეს, მეორე იყო ბაქოს კოლექტივი, მესამე — კამოს გუნდი.

ტურნირის მონაწილეები კმაყოფილნი დარჩნენ შეჯიბრების ორგანიზაციით და სურვილი გამოთქვეს, რომ მსგავსი ტურნირის ჩატარება ტრადიციად დამკვიდრდეს.

ლეილა სუმბელიანი.
(„ლელოს" კორ.).
ცხინვალი.

სადღეისო პრობლემა

კალათბურთის თამაში კი ბევრს სურს...

ამ წერილის გამოქვეყნება უამრავი მშობლისა და მოზარდის გულისტკივილმა გვიკარნახა. საკითხი, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, სამწუხაროდ, მხოლოდ კალათბურთის მოყვარულებს როდი აწუხებთ.

ჩვენში რომ კალათბურთი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, ამას ვფიქრობთ, მტკიცება არ სჭირდება. ალბათ თავადაც ბევრგან გინახავთ, თუნდაც, თბილისში, ერთი ბეწო ეზოშიც კი რა თავგამოდებით თამაშობენ ყმაწვილები ცალ ფარზე.

სექტემბერი დადგება თუ არა, მშობლები იწყებენ ფიქრს, რომელ სპორტულ სექციაში მიიყვანონ შვილი სამეცადინოდ. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბევრი სწორედ კალათბურთზე შეაჩერებს ხოლმე არჩევანს. ეს უკვე თვით მოზარდთა მოწადინებითაა ნაკარნახევი. თამამად შეიძლება ითქვას, კალათბურთი ჩვენში არასოდეს ყოფილა ისეთი ყურადღებით გარემოსილი, როგორითაც დღეს.

დღესდღეობით ალბათ არც ერთ სხვა სახეობაში არ არის განვითარების მწყობრი სისტემის შექმნის ისეთი რეალური საფუძვლები, როგორიც კალათბურთში. საკითხი კომპლექსურად წყდება და ეს გვაძლევს ასეთი განცხადების საფუძველს. ამ თემას ჩვენ სხვა დროსაც დავუბრუნდებით. დღეს კი ერთ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

სპორტული სკოლები და მათი სექციები კალათბურთში მეცადინეობის ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებს. სპორტსკოლებში მიღების მოთხოვნები მკაცრად რეგლამენტირებულია. ფაქტიურად სპორტული სექციების მიღმა რჩებიან ის მოზარდები (მათი რიცხვი კი ძალზე დიდია), რომლებიც სპორტსკოლებში მიღების პერიოდისათვის ვერ აკმაყოფილებენ დებულების მოთხოვნებს. უფრო ასაკი გვაქვს მხედველობაში (აღარას ვამბობთ სიმაღლეზე). სპორტი გაახალგაზრდავდა და ეს პროცესი ცხადია, კალათბურთსაც შეეხო. დამწყებ ჯგუფებში ახლა აღარავინ იღებს VII, VIII, IX და, მით უფრო, X კლასების მოსწავლეებს ან სკოლადამთავრებულებს. არადა, მსურველი, როგორც ვთქვით, ბევრია. საუბარი ძალიან ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანთ. ახლახან რამდენიმე მშობელმა რედაქციაში მოგვმართა დახმარებისთვის. VII-VIII-IX კლასების მოსწავლე ბიჭები კალათბურთის სექციაში არ მიიღეს. რაკი ეს მოსწავლეები დიღმის მასივში ცხოვრობენ, პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს გურამ ძიძიგურს დავუკავშირდით. დირექტორი თავაზიანად გამოგვეხმაურა, გულთან ახლოს მიიტანა მშობლებისა და ბავშვების სურვილი, დახმარება აღგვითქვა და შეასრულა კიდეც სიტყვა. მოზარდებმა დიღომშივე, 169-ე საშუალო სკოლაში მიაკითხეს სპორტსკოლის მწვრთნელს შოთა ესებუას, რომელმაც... VII-VIII და IX კლასების მოსწავლეები მეოთხეკლასელებთან მიიღო სავარჯიშოდ. რა ქნა მწვრთნელს, მეტი შესაძლებლობა არ იყო, სპორტსკოლის დირექტორის დავალება ხომ უნდა შეესრულებინა. ასეთ შეღავათზე თავად ბავშვებმაც უარი თქვეს. ჩვენც განვუმარტეთ სპორტსკოლის ხელმძღვანელებს, რომ ასეთი დათმობა საჭირო არ იყო.

ალბათ მიხვდით, რატომ გავიხსენეთ ეს მაგალითი. თქვენც იკითხავთ, მაშ რა ქნან უფროსკლასელებმა, რომლებსაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად სურთ კალათბურთში ივარჯიშონ?

მომავალში ამ საკითხზე ალბათ სპეციალისტებიც გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას, ჩვენ კი ჩვენი მოსაზრება გვაქვს და გვინდა აქვე გაგიზიაროთ.

საქმე ეხება კალათბურთის გამაჯანსაღებელი სააბონემენტო ჯგუფების შექმნას. ხომ გვაქვს ასეთი ჯგუფები ცურვაში, აერობიკაში, ათლეტურ ტანვარჯიშში... ბოლოს და ბოლოს ღირს იმაზე დაფიქრებაც, რომ იქნებ საერთოდ კალათბურთის გამაჯანსაღებელი სკოლაც გავხსნათ სამეურნეო ანგარიშზე. (სხვათა შორის, ასეთი სკოლა იმ კალათბურთელებსაც შეიკედლებს, ვინც დიდ სპორტში ვერ მოხვდა, და თავი დაანება თამაშს) გამაჯანსაღებელი ფუნქციის გარდა ამ სკოლაში, ცხადია, საუკეთესოთაგან ცალკე ჯგუფები შედგება და, ვინ იცის, იქნებ ერთი-ორი ძლიერი სპორტსმენი შემატოს ქართულ კალათბურთს. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ასეთი სკოლა ერთი საინტერესო რგოლი იქნება იმ საერთო ჯაჭვში, რომელიც კალათბურთზე ზრუნვის კომპლექსური ღონისძიებებით იქმნება.

ვიცით, იკითხავთ — კი მაგრამ, სადა გვაქვს ამდენი სავარჯიშო ადგილიო? ადგილი ბევრია. მხედველობაში გვაქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი და საშუალო და სპეციალური სასწავლებლების, შრომითი კოლექტივების სპორტული დარბაზები. ამ დარბაზების უმრავლესობა ხომ დღის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით საღამოს საათებში, გამოკეტილია. რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ბევრი შესანიშნავი სიახლის თაოსნები არიან. ახლაც პირველ ყოვლისა სწორედ მათგან უნდა მოველოდეთ საქმიან გამოხმაურებას და პრაქტიკულ ნაბიჯებს.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

სსრ კავშირი — დანია

გადამწყვეტი მნიშვნელობის მატჩი

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი VI ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და დანიის ნაკრები გუნდები.

გავიხსენოთ რა მდგომარეობაა ჩვენს ჯგუფში:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. დანია	4	3	0	1	8-3	6
2. ირლანდია	6	2	2	2	4-4	6
3. შვეიცარია	6	2	2	2	4-9	6
4. სსრ კავშირი	5	1	2	2	9-8	4
5. ნორვეგია	5	1	2	2	2-3	4

როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის შანსი ჯერ არც ერთ მონაწილეს არ დაუკარგავს, ამიტომ მით უფრო შეუპოვარი, უშეღავათო და დაძაბული იქნება ყოველი დარჩენილი მატჩი (ფინალურ ეტაპზე ჩვენი ჯგუფიდან ორი გამარჯვებული გადის).

და, მაინც, სსრ კავშირისა და დანიის გუნდების დღევანდელ შეხვედრას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენს ფეხბურთელებს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებები ესაჭიროებათ შინ დარჩენილ თითოეულ მატჩში, როგორც დღეს — დანიელებთან, ისე ირლანდიელებთან (16 ოქტომბერს) და ნორვეგიელებთან (30 ოქტომბერს). არც ერთი სხვა ვარიანტი ხელს არ გვაძლევს.

ყველას ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს დანიისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა კოპენჰაგენში, როცა მასპინძლებმა ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს. დასამალი არაა, რომ ამ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა სრულად ვერ აჩვენეს თავიანთი შესაძლებლობანი, ისინი პასიურობდნენ, ხშირი იყო შეცდომები, დანიელთა პირველხარისხოვან ფორვარდებს ელკიაერსა და ლაუდრუპს ჩვენმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს მთელი მატჩის მსვლელობაში.

ეს ორი ფეხბურთელი ახლაც საუკეთესო ფორმაშია. 21 წლის ლაუდრუპი ამჟამად იტალიის „იუვენტუსის“ შემადგენლობაში გამოდის, „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონატში 25 სექტემბერს „პიზას“ შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ამ მატჩში ლაუდრუპი ყველაზე აქტიური იყო მინდორზე და გოლიც გაიტანა.

იტალიაში თამაშობს ელკიაერიც („ვერონა“). იმავე ტურში „ვერონამ“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა „კომო“. აქაც ერთი ბურთი ელკიაერმა გაიტანა.

5 ივნისის იმ შესარჩევ მატჩში, როცა დანიელებმა თავიანთ მინდორზე დაამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები, როგორც დანიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ზ. პიონტეკმა განაცხადა, მის გუნდს ასე ძლიერად არ უთამაშია. სულ ახლახან კი კოპენჰაგენში გამართულ პრესკონფერენციაზე ზ. პიონტეკმა დაიმედებით აღნიშნა, რომ თუ დანიელები მოსკოვში დამარცხდებიან, ეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს მათს კატასტროფას, ვინაიდან გუნდს აქვს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება. მაგრამ თუ დანიელებმა თუნდაც 1 ქულა აიღეს, ეს ნიშნავს, რომ ისინი 90 პროცენტით გაინაღდებენ ფინალური ტურნირის საგზურს. ზ. პიონტეკმა ისიც თქვა, რომ მოსკოვში მისი გუნდი ითამაშებს სისტემით 4-4-2 და შეტევის დროს სწორედ ელკიაერისა და ლაუდრუპის აქტიური, ეფექტური თამაშის იმედი ექნება.

— ჩვენ ვიცით, — განაცხადა მან, — რომ საბჭოთა ნაკრები მსაჯის პირველი სასტვენისთანავე ძლიერ შეტევას განავითარებს და შეეცდება დასაწყისშივე გაიტანოს ბურთი. ეს გასაგებია, ვინაიდან მასპინძლები მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. მაგრამ ჩვენ რომ მხოლოდ ყრუ, პასიურ დაცვას მივმართოთ, არ გვარგებს. ამიტომ ვითამაშებთ ისე, როგორც შეგვიძლია, როგორც ეს შეეფერება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პრეტენდენტს.

დანიელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მათი გუნდის ამასწინანდელი დამარცხება შვეციის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში (0:3) არ უნდა იქცეს დღევანდელი მეტად საპასუხისმგებლო მატჩის პრელუდიად. მოსკოვში დანიელებმა სულ სხვა თამაში უნდა აჩვენონ. იქაურ ჟურნალისტებს თავისებური მათემატიკური გაანგარიშებებიც გამოჰყავთ: დანიელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძლიერი ნაკრები, რის შემდეგ გდრ-ის გუნდმა დაამარცხა თვით ევროპის ჩემპიონი — საფრანგეთის ნაკრები. — 2:0. ასე რომ, სხვადასხვაგვარი „წიალთსვლა“, შედარებები, ანალოგიები ახლა საინტერესო არაა. მთავარია ის, რაც 25 სექტემბერს მოხდება ლუჟნიკის სტადიონზე.

სსრ კავშირისა და დანიის გუნდების დღევანდელ შესარჩევ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ორი გუნდის, არამედ VI ჯგუფის სხვა მონაწილეთათვისაც. ამიტომ მას დაესწრება მთელი ევროპის საფეხბურთო ელიტა და, უპირველეს ყოვლისა, დანიის, ირლანდიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის სპორტული წრეების წარმომადგენლები.

დღევანდელი მატჩის ტელეტრანსლაცია ცენტრალური ტელევიზიით იწარმოებს 20 საათიდან თბილისის დროით.

MEXICO86

გილერმო კანედოს გარანტიები

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაზე ციურიხში 23 სექტემბერს გაიმართა დიდი პრესკონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღეს ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა და 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მექსიკის საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა გილერმო კანედომ, რომელიც აქ საგანგებოდ ჩამოვიდა თავისი ქვეყნიდან.

გ. კანედომ დამსწრეებს მოუთხრო მექსიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად გამოწვეულ სიძნელეთა შესახებ, აღნიშნა, რომ ექსპერტებმა საგანგებოდ გამოიკვლიეს ის სპორტული ნაგებობანი, სადაც განზრახულია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრათა ჩატარება და ერთსულოვანი დასკვნა გამოიტანეს: სტადიონები და სხვა ნაგებობანი, რომლებიც განკუთვნილია შეჯიბრების მონაწილეების, ჟურნალისტებისა და მაყურებელთათვის, ნორმალურ მდგომარეობაშია, ამიტომ მექსიკა განაგრძობს მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

ი. ბლატერმა ჟურნალისტთა შეკითხვებზე განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია დაიმედებით ემყარება იმ ინფორმაციას, რომელიც მას გააჩნია და არ აპირებს რაიმე ცვლილება შეიტანოს ფინალური ტურნირისთვის სამზადისის გეგმაში.

---

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

22 სექტემბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი, გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.

„ფაკელი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0 (0:0). ბურთი გაიტანა სავჩენკომ.

დუბლიორები — 1:3.

ახკ (დონის როსტოვი) — „ქაირათი“ 1:1 (1:1). ანგარიში 11-მეტრიანით გახსნა როსტოველმა აგამკოვმა, საპასუხო ბურთი კი მასუდოვმა გაიტანა.

გააფრთხილეს როსტოველი სკლიაროვი და ალმაათელი შადიევი.

დუბლიორები — 0:0.

„ჟალგირისი“ — „მეტალისტი“ 1:1 (0:0). გოლები: იაკუბოვსკი („მეტალისტი“), ნარბეკოვასი („ჟალგირისი“, 11-მეტრიანი).

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები მახინია და პანჩიშინი.

დუბლიორები — 2:4.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად ლიდერობს დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვი — 24 ბურთი. ვილნიუსელ ს. იაკუბაუსკასს გატანილი აქვს 12 ბურთი.

I ლიგა

23 სექტემბერს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი „ა“ ჯგუფის (I-XII ადგილები) გუნდებს შორის. სტავროპოლის „დინამომ“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა ცსკა-სთან — 1:1.

II ლიგა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და ნახიჩევანის „არაზს“ შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ 0:0.

ახალგაზრდული გუნდების მატჩი

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და დანიის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ინფორმაცია

რეიკიავიკი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირის მატჩი ადგილობრივ „ფრამსა“ და ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანს“ შორის. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ფრამმა“.

ევროპის საკლუბო ტურნირებში საბჭოთა გუნდების მეტოქეებმა განვლილ კვირას თავიანთი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატის მატჩები გამართეს. კიევის დინამოელთა მეტოქემ (თასების თასი) ჰოლანდიის „უტრეჰტმა“ სტუმრად მარცხი იწვნია „ჰაარლემთან“ შეხვედრაში — 0:3. გდრ-ის „ვისმუტმა“ (უეფა-ს თასი, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქე) ფრედ ითამაშა ცვიკაუს „ზაქსენრინგთან“ — 3:3, ხოლო დასავლეთ გერმანიის „ვერდერმა“ (ქ. ბრემენი), რომელიც კვლავ ლიდერობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში, თავის მინდორზე ფრედ ითამაშა „ვალდჰოფთან“ — 2:2.

სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი 16 წლამდე) ემზადება უეფა-ს ტურნირში კვიპროსის ნაკრებთან შესახვედრად. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან მ. კალატოზიშვილი („დინამო“, თბილისი), ბ. თედეევი და ა. ბეკოევი (ორივენი — ცხინვალის სპეციალიზებული სპორტსკოლიდან).

კიევში მიმდინარეობს სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ტრადიციული ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებში, რომელსაც ხელმძღვანელობენ ვ. ცარიოვი და ვ. კოლოტოვი, გამოდიან თბილისელი ფეხბურთელები მ. ამისულაშვილი, ა. კულუმბეგოვი, ვ. მიქაშავიძე, ზ. რევიშვილი, გ. ჩიხრაძე, სოხუმელი ს. თარბა და მოსკოველი კ. სარსანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

ორი ძნელი მატჩი ლიდერთან

ლიდერთა ეს პრინციპული შეხვედრა უაღრესად მაღალ ტემპში დაიწყო, მასპინძლები პირველივე წუთებიდანვე შეეცადნენ უპირატესობის მოპოვებას... მე-3 და მე-5 წუთებზე ისინი ახლოსაც იყვნენ მიზანთან. ნაჭყებიამ ზედიზედ ორჯერ განახორციელა სოლო გარღვევა, მაგრამ თავდამსხმელები ჩამორჩნენ შეტევის რიტმს, დროულად ვერ დაეხმარნენ მას და სტუმრებმა ორივეჯერ შეძლეს ნაჭყებიას შებოჭვა. პირველ წარმატებას მაინც ქუთაისელმა რეგბისტებმა მიაღწიეს. მე-8 წუთზე დერეფანში თამაშისას მოსკოველები დაჯარიმდნენ და ძაგნიძემ საკმაოდ მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა — 3:0.

მონინოელები ამ წუთებში ყრუ დაცვაში იყვნენ, თუმცა მეტოქის სუსტ ადგილებს „ზვერავდნენ“ და კონტრშეტევის ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ.

ქუთაისელთა ერთ-ერთი იერიში მოსკოველთა მცველმა ბობროვმა ჩაჭრა, სწრაფი დრიბლინგით გაარღვია დაცვის ხაზი, ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფ ტიხონოვს გადააწოდა, რომელსაც არ გასჭირვებია მისი დამიწება. რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა საბჭოთა რეგბის საუკეთესო ბომბარდირმა მირონოვმა — 3:6.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა მთელი ძალით შეუტიეს მეტოქეს. მათი ჩასათვლელი მოედნის ხაზთან ზედიზედ სამჯერ დაინიშნა შერკინება, მაგრამ მას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმის დასაწყისში ქუთაისელი რეგბისტები ზედმეტად ნერვიულობდნენ. ამიტომ სახიფათო შეტევების ორგანიზება შეუძლებელი გახდა. დერეფანში შემოგდებულ ბურთს მეტწილად სტუმრები იგებდნენ. ტრადიციული სიძლიერით ვერ თამაშობდნენ შერკინების ხაზის მოთამაშეები და სტუმართა უპირატესობა მასპინძელთა მხარეს გადავიდა. მათ ოთხი საჯარიმო დაარტყეს, აქედან ერთი ზუსტად გამოიყენა ბობროვმა — 3:9. ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

• • •

ამ დამარცხებამ „მშენებელს“ თითქოს მოუხსნა ის ფსიქოლოგიური ხუნდები, რომელიც ასე ბოჭავდა მას პირველ მატჩში. განმეორებითი შეხვედრა ქუთაისელმა რეგბისტებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს და ძლიერ, გამოცდილ მეტოქეს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. დერეფანში ამჯერად კარგად თამაშობდა ტანმაღალი წივწივაძე, რომელიც ხშირად იგებდა ბურთს. შედარებით აქტიურად მოქმედებდნენ შერკინების ხაზის მოთამაშეებიც, რომელთა შორის ამ დღეს რამდენიმე ახალგაზრდა რეგბისტი ვიხილეთ.

ანგარიში 36-ე წუთზე გაიხსნა. მოლში, ღია შერკინების დროს მოსკოველები დაჯარიმდნენ. ძაგნიძემ 43-45. მეტრიდან ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა — 3:0. მეორე ტაიმში უფრო აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა — თავდამსხმელები ძლიერად თამაშობდნენ შერკინების, მოლის დროს, ზუსტად მოქმედებდა დაცვის ხაზი და სტუმრებს არც ერთი სახიფათო კონტრშეტევის საშუალება არ მიეცათ. 69-ე წუთზე სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის ჩასათვლელ მოედანთან, 5-მეტრიან ზონაში დაინიშნა შერკინება სტუმართა სასარგებლოდ. მაგრამ, ქუთაისელმა რეგბისტებმა მოიგეს ეს შერკინება, ბურთს ნახევარმცველი შავგულიძე დაეუფლა, რომელმაც ეფექტურ ნახტომში აიღო მონინოელთა ქალაქი. ძაგნიძემ უშეცდომოდ გამოიყენა რეალიზაცია — 9:0.

ამის შემდეგ მოსკოველები მთელი ძალით ათამაშდნენ, მაგრამ მასპინძლები კვლავ თავგანწირვით იბრძოდნენ, ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობაც და უაღრესად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს. ჩვენი რეგბისტები კვლავ ინარჩუნებენ ჩემპიონატის საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს.

ამ ორ მატჩში „მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: **ლილუაშვილი, ტურძელაძე, უგრეხელიძე, ოდიშარია, გრიგალავა, შვანგირაძე, ნაჭყებია, ნემსიწვერიძე, გაბუნია, ფხაკაძე, წივწივაძე, შავგულიძე, დეისაძე, ხამაშურიძე, გიორგობიანი, ლიპარტელიანი, გაბრიჩიძე, ძაგნიძე, შამელაშვილი, ლოხაბერიძე.**

ფარიკაობა

ექვსიდან — ოთხი

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში გრძელდება სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობა ჭაბუკ მოფარიკავეთა შორის.

ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გახდა ცხადი, რომ მასპინძლები შეჯიბრების ფავორიტებად უნდა ჩაგვეთვალა. „ბურევესტნიკს“ თბილისში აქვს საკუთარი საფარიკაო სკოლა. ამ სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოდიან სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს პირველობაზე და, რა გასაკვირია, რომ შინ შეეცადნენ საკუთარი კედლების უპირატესობა გამოეყენებინათ.

მართლაც, პირველ სამ დღეს გათამაშებული 6 პირველი ადგილიდან 4 მასპინძლებმა დაისაკუთრეს. დროის მცირე მონაკვეთში ამდენი საპრიზო ადგილის განაწილება იმიტომ მოესწრო, რომ როგორც გაცნობეთ, 1966-68 და 1969-70 წლებში დაბადებული სპორტსმენებისთვის ცალ-ცალკე ტარდება შეჯიბრებები. გუნდური პირველობები კი „საერთო რიგით“ მიმდინარეობს — თითოეული კოლექტივიდან 2 უმცროსი და ამდენივე უფროსი ასაკის მუშკეტერი გამოდის.

განსაკუთრებულ წარმატებას მასპინძლებმა ხმლით ფარიკაობაში მიაღწიეს — გარდა იმისა, რომ ორივე ასაკის წარმომადგენელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, გუნდური პირველობაც მოიპოვეს. უმცროსებში ყველა მეტოქე დაამარცხა გაგრელმა ჯემალ ანკვაბმა. მესამე ადგილი თბილისელ არჩილ ლორთქიფანიძეს ხვდა. კახა მახარაძეც მათი ტოლია, მაგრამ გუნდის ინტერესებისთვის იგი უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში ჩაება და გაიმარჯვა კიდეც — ფინალში აზერბაიჯანელ მელიქ კარამოვს სძლია — 10:6.

გუნდური პირველობისათვის ბრძოლაში მახარაძეს, ანკვაბს და ლორთქიფანიძეს ნუკრი ასათიანიც დაემატათ. ჩვენმა ოთხეულმა ზედიზედ დაამარცხა ყაზახეთის (9:7), აზერბაიჯანის (9:3) და რსფსრ-ის მოფარიკავეები (9 : 7) და პირველი ადგილი დაიკავა.

უმცროსი ასაკის რაპირისტთა შორის ყველას თბილისელმა ოლეგ ჩერნიშოვმა აჯობა. გუნდურ პირველობაში შეჯიბრების მასპინძლები საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ.

სურათზე: **საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა გუნდი. მარცხნიდან: ჯემალ ანკვაბი, ნუკრი ასათიანი, არჩილ ლორთქიფანიძე და კახა მახარაძე.**

ნაბიჯი მსოფლიო თასისკენ

როგორც გაცნობეთ, ტოკიოში დამთავრდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მასპინძელი ქვეყნის — იაპონიის მძლეოსანთა მატჩი. შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკიდან ერთადერთი სპორტსმენი, თბილისელი სტაიერი ოლეგ სტრიჟაკოვი მონაწილეობდა. ასეთი მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის ახალბედა 22 წლის მძლეოსანი საკმაოდ დამაჯერებლად გამოვიდა ათკილომეტრიან დისტანციაზე და მესამე ადგილი დაიკავა — 28.50,15. პირველ და მეორე ადგილებზე იაპონელი და ამერიკელი მორბენლები გავიდნენ. ამგვარად, სტრიჟაკოვი საუკეთესო იყო საბჭოთა სპორტსმენთა შორის და შანსი გაუჩნდა მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო თასის გათამაშებაში, რომელიც 4 ოქტომბერს ავსტრალიაში დაიწყება.

„ვერცხლი“ ვენის „შპორტჰალედან“

ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში — „ვენის თასი“.

წარმატებით იასპარეზა თბილისელმა სპორტსმენმა — საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა, 18 წლის სპორტის ოსტატმა **ანდრეი ტოროსიანმა** („განთიადი“), რომელსაც ამჟამად საკავშირო ნაკრების მწვრთნელი ედუარდ პლინერი ავარჯიშებს. ჩვენმა მოციგურავემ სავალდებულო პროგრამის ორი ფიგურის შესრულების შემდეგ ხელთ იგდო ლიდერობა. სამწუხაროდ, დასკვნითი მესამე ფიგურის შესრულებისას შეცდომა დაუშვა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. შეჯიბრების მეორე დღეს, მოკლე ნებისმიერი პროგრამის შესრულების შემდეგ ა. ტოროსიანი კვლავ მესამე ადგილზე დარჩა.

ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო დასკვნით დღეს, დიდი ნებისმიერი პროგრამის შესრულებისას ჩვენი სპორტსმენი შესანიშნავად გამოვიდა — შეასრულა ხუთი სხვადასხვა სამმაგი ბრუნი, უნიკალური ელემენტი — სამნახევარი ბრუნი და საბოლოო ჯამში **ვერცხლის მედალი მოიპოვა**. პირველობა ამერიკელმა დენიელ დორანმა დაისაკუთრა, მესამე იყო თომას ვიზერი (გფრ).

ახლა ა. ტოროსიანი დნეპროპეტროვსკში მიემგზავრება, სადაც საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გააგრძელებს მზადებას მომავალი შეჯიბრებისთვის, კერძოდ, დეკემბრის საერთაშორისო ტურნირისათვის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე. აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ევროპის ჩემპიონატისათვის საბჭოთა ნაკრების შემადგენლობის დასადგენად.

მათთვის, ვინც ცურვა იცის

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი დამატებით ხსნის გამაჯანსაღებელ ჯგუფებს ცურვის მცოდნე ქალების, მამაკაცებისა და ბავშვებისათვის. მეცადინეობა ჩატარდება ჯგუფების წევრთათვის სასურველ დროს, დილით და შუადღისას. საღამოს, 21 საათიდან და 45 წუთიდან ჩატარდება ქალთა დამატებითი ჯგუფების მეცადინეობა.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 25 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. ნახევარფინალები — **19.15** (2); მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი (ნაკრები) — დანია (ნაკრები) — **20.00** (1); საჭადრაკო სკოლა — **20.30** (2).

საკავშირო რადიო. 25 სექტემბერი. ტანვარჯიში — **6.15** და **7.15**; საწარმოო ტანვარჯიში — **12.00.**

საქართველოს ტელევიზია. 25 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი (ნაკრები) — „დანია“ (ნაკრები) — **20.00;** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) — **22.35.**

ბოლო ტურის წინ

სოჭში დასასრულს მიუახლოვდა ჩიგორინის მემორიალი. უკანასკნელი, XV ტურის წინ ვაჟთა ტურნირში პირველ ადგილზეა დიდოსტატი სვეშნიკოვი — 9 ქულა (13-დან). ამდენივე ქულა მოაგროვა იუგოსლაველმა ბარლოვმა, მაგრამ მან უკვე დაამთავრა ტურნირი. ოსტატ ეინგორნს 8,5 (13-დან), დიდოსტატ ფსახისს კი 7,5 (12-დან) ქულა აქვთ.

ქალთა ტურნირში დაწინაურდა რუბცოვა — 9,5 ქულა (12-დან). მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება (13-დან) ზაიცევა.

შვეიცარიული სისტემით

თბილისში, რესპუბლიკურ ჭადრაკის სასახლეში დაიწყო დედაქალაქის პირველობის ნახევარფინალი, რომელშიც 164 მოჭადრაკე მონაწილეობს (82 ოსტატობის კანდიდატი და ამდენივე პირველთანრიგოსანი). ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება (სულ — 11 ტური). პირველ 8 ადგილზე გასული მოჭადრაკე ითამაშებს თბილისის პირველობის ფინალში, რომელიც დეკემბრის თვეში გაიმართება.

ინფორმაცია

ლეიკ ბუენა ვისტა (აშშ). 14 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა მინსკელმა ნ. ზვერევამ. გოგონათა ტურნირის ნახევარფინალში მან იტალიელი ა. დელ-ორსო დაამარცხა (6 : 2, 6 : 0), ხოლო ფინალურ შეხვედრაში დაძაბული ბრძოლის შემდეგ მ. კრაიბელს (გფრ) სძლია — 4 : 6, 6 : 2, 6 : 1.

ჟენევა. შვეიცარიის ამ ქალაქში გაიმართა „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს მესამე ჩოგანი, პირველ ნომრად განთესილი მატს ვილანდერი (შვეცია) და ჩეხოსლოვაკიელი ტომაშ შმიდი. გაიმარჯვა შმიდმა — 6:4, 6:4; საინტერესოა, რომ გზად ფინალისკენ ვილანდერმა ა. ზვერევს სძლია — 6 : 2, 6 : 3. საბჭოთა კავშირის მეორე წარმომადგენელი ა. ჩესნოკოვი ფრანგ ა. ლეკონტთან დამარცხდა — 2 : 6, 6 : 4, 2 : 6.

ტულსი (აშშ). ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უიმბლდონის წლევანდელი ტურნირის ფინალისტები ბორის ბეკერი (გფრ) და კევინ კარენი (აშშ). 17 წლის დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ამჯერადაც დაამარცხა მეტოქე (6 : 7, 7 : 6, 6 : 3) და პირველი პრიზი მოიპოვა.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშტარიას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 ზ 06308